საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1165-02
24/05/2017

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2017 წლის 29 მარტის N631-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდი ული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 მარტის №3 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.შეტანილ იქნას ცვლილება რექტორის 2017 წლის 29 მარტის ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N631-02 ბრძანების მე-7 პუნქტში და კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2017 წლის 1 ივნისს, ნაცვლად 2017 წლის 29 მაისისა.

2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი